აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციების

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა შეშფოთებას გამოხატავს 13 აგვისტოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გასული პოლიტიკური პარტია ,,ცენტრისტების“ ანტისახელმწიფოებრივ და ანტიკონსტიტუციურ საარჩევნო ვიდეორგოლთან დაკავშირებით, რომელიც ძირს უთხრის ქვეყნის ოფიციალურად დეკლარირებულ დასავლურ კურსს.

მისასალმებელია ფართო საზოგადოების მყისიერი და ერთსულოვანი პროტესტი აღნიშნული ვიდეორგოლის და პარტიის პოლიტიკის მიმართ. დადებითად ვაფასებთ საზოგადოებრივი მაუწყებლის ადეკვატურ რეაგირებას საზოგადოების მოთხოვნაზე და ვიდეორგოლის ბადიდან ამოღების გადაწყვეტილებას.

მაუწყებლის მენეჯმენტმა უნდა გამოიჩინოს სათანადო ნება და განუხრელად დაიცვას ქვეყნის კონსტიტუცია, საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა და მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტები. შესაბამისად, მომავალშიც საზოგადოებრივმა მაუწყებელმა არ უნდა განათავსოს ეთერში ანალოგიური ხასიათის ან შინაარსის მქონე პოლიტიკური რეკლამა თუ სხვა პროდუქტები და განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინოს, რათა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერი არ იქნეს გამოყენებული ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის საწინააღმდეგო დისკურსის ასპარეზად.

აქვე, შეშფოთებას გამოვთქვამთ მიმდინარე წინასაარჩევნო პერიოდში, პრორუსული პოლიტიკური ძალების გააქტიურებისა და მათი საჯარო ასპარეზზე ღიად გამოჩენის გამო, ქვეყანაში, სადაც რუსული სამხედრო ძალების მიერ ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ოკუპირებულია. აუცილებლია, ამ ტენდენციით დროულად დაინტერესდნენ შესაბამისი

სახელმწიფო უწყებები. ასევე მნიშვნელოვანია, აღნიშნულმა უწყებებმა საზოგადოებას ჩააბარონ ანგარიში და მიაწოდონ ინფორმაცია ე.წ. რუსული როგორც ხისტი, ასევე რბილი ძალის წინააღმდეგ სახელმწიფოს სტრატეგიასა და ხედვასთან დაკავშირებით.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული პოლიტიკური ძალების გააქტიურება შესაძლოა მიზნად ისახავდეს, წინასაარჩევნოდ სამოქალაქო დაპირისპირების და დაძაბულობის პროვოცირებას. შესაბამისად, აუცილებელია შესაბამისმა უწყებებმა დროულად გაატარონ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები, რათა პოლიტიკურ პარტიებსა და საარჩევნო სუბიექტებს (რომლებიც პატივს სცემენ საქართველოს სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას და საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ სხვა პრინციპებს) მიეცეთ საშუალება თავისუფალ, დემოკრატიულ და კონკურენტულ გარემოში ჩაატარონ წინასაარჩევნო კამპანია.

საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციები გამოვთქვამთ მზადყოფნას საკუთარი წვლილი შევიტანოთ საქართველოს ევროპული არჩვანის განმტკიცებისა და ოკუპანტი სახელმწიფოსგან მომავალი ჰიბრიდული გამოწვევების საზიანო ეფექტების პრევენციის საქმეში. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ჩავერთოთ იმ კანონების და რეგულაციების დახვეწაში, რომელიც ხელს შეუშლის უცხო ქვეყნების მტრული ინტერესების გამტარებელ პოლიტიკურ ძალებს ისარგებლონ საზოგადოებრივი ეთერით და გავლენა მოახდინონ საზოგადოებრივ აზრზე. ეს სცილდება გამოხატვისა და სიტყვის თავისუფლების ფარგლებს და საფრთხეს უქმნის ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტს და მოქალაქეების ინტერესებს.

ხელმომწერი ორგანიზაციები:

1. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
2. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
3. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
4. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
5. ევროპული ინიციატივა - ლებერალური აკადემია თბილისი
6. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი
7. ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო
8. ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
9. ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის
10. საზოგადოებრივი დამცველი
11. ასოციაცია „ქალი და ბიზნესი"
12. ასოციაცია ,,მწვანე ალტერნატივა“
13. ასოციაცია "მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია"
14. ადამიანის უფლებათა ცენტრი
15. ასოციაცია ,,სკოლა-ოჯახი-საზოგადოება“
16. საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია ”საქართველოს ჩაი”
17. სამოქალაქო საბჭო თავდაცვის და უსაფრთხოებოს საკითხებში
18. საქართველოს გეოსტრატეგიული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის კვლევების ინსტიტუტი
19. სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი
20. ახალგაზრდული ალტერნატივა
21. საქართველოს ენერგო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
22. ფონდი "კავკასიის ეკოლოგია"
23. სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი
24. საერთო სამოქალაქო მოძრაობა ”მრავალეროვანი საქართველო”
25. საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია
26. რეპატრიანტთა კავშირი
27. კვლევების ტექნოლოგიების და ინოვაციების ხელშემწყობი საერთაშორისო ცენტრი
28. ანალიტიკური ცენტრი მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის

29. მეწარმე ქალთა ფონდი
30. “საერთაშორისო ბიზნესის განვითარების და ინვესტიციათა ხელშეწყობის ცენტრი“
31. მეგობრობის ხიდი ქართლოსი
32. ასოციაცია „ათინათი“
33. იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია ,,თანხმობა“
34. საერთაშორისო ფონდი ლეა
35. ჯანმრთელი სამყარო
36. ახალგაზრდები სამართლიანობისთვის - საქართველო
37. ასოციაცია "ფსიქეა"
38. იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი "სპექტრი"
39. განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი
40. ასოციაცია "მერკური"